ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვების განხორციელების საკითხის შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის

# დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი

9 ნოემბერი, 2018 წელი
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები:

- ✓ გზის საფარის რეაბილიტაცია, მოგრეიდერება-მოშანდაკება; (ფართობი - 139 000 $მ^2$)
- ✓ გზის საფარის რეაბილიტაცია 0-70 კირქვის ღორღით (მოხრეშვა);
- ✓ გზის საფარის რეაბილიტაცია 0-40 ქვიშახრეშოვანი ღორღით (მოხრეშვა).

*სხდომას ესწრებოდნენ:*

| N | მიმწოდებელი | უფლებამოსილი პირი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | შ.პ.ს. „ზუგდიდის საგზაო სამმართველო" | სოსო საჯაია | |
| 2 | შ.პ.ს. თავადი-I | ელგუჯა გურიელი | |
| 3 | შ.პ.ს. გილანი XXI | ავთანდილ წირღვავა | |
| 4 | შ.პ.ს. ევრომშენი 999 | დიმა ჯღამაია | |
| 5 | შ.პ.ს. ხანდა | დავით კვირკვია | |

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის რეაბილიტაციის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

გზის საფარის რეაბილიტაცია 0-40 ქვიშახრეშოვანი ღორღით (მოხრეშვა).

| # | ნორმატივის ნომერი და შიფრი | სამუშაოების დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | | ღირებულება (ლარი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ნორმატივით ერთეული | საპროექტო მონაცემი | ხელფასი | | მასალები | | ტრანსპორტი | | ჯამი |
| | | | | | | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | | არსებული გზის საფარის რეაბილიტაცია ქვიშანარევი ღორღის დამატებით | 1000მ² | | **27.5** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | **32.2** | **886.4** | | | | | | | |
| | | ავტოგრეიდერი საშუალო ტიპის 108 ცხ.ძ | მ/სთ | 2.69 | 74.05 | | | | | | | |
| | | ქვიშანარევი ღორღი 0-40მმ | მ³ | 50 | 1376.38 | | | | | | | |
| | | ქვიშანარევი ღორღი ტრანსპორტირება 15 კმ-ზე და განაწილება გზის დაზიანებულ ადგილებზე | ტ | 1.6 | 2202.21 | | | | | | | |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | |
| | | **ზედნადები ხარჯები** | | | | | | | | | | |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | |
| | | **გეგმიური დაგროვება** | | | | | | | | | | |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | |
| | | **დ.ღ.გ 18%** | | | | | | | | | | |
| | | **ჯამი** | | | | | | | | | | |

ორგანიზაციის დასახელება: ______________________________

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი/გვარი: ____________________

ხელმოწერა: ____________________

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის რეაბილიტაციის

## სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

გზის საფარის რეაბილიტაცია 0-70 კირქვის ღორღით (მოხრეშვა)

| # | ნორმატივების ნომერი და შიფრი | სამუშაოების დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | | ღირებულება (ლარი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ხელფასი | | მასალები | | ტრანსპორტი | | ჯამი |
| | | | | ნორმატივით ერთეულზე | საპროექტო მონაცემი | ერთეულზე | სულ | ერთეულზე | სულ | ერთეულზე | სულ | |
| ***1*** | ***2*** | ***3*** | ***4*** | ***5*** | ***6*** | ***7*** | ***8*** | ***9*** | ***10*** | ***11*** | ***12*** | ***13*** |
| 1 | | არსებული გზის საფარის რეაბილიტაცია კირქვის ღორღის დამატებით | 1000მ$^2$ | | **29.6** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | **32.2** | **954.5** | | | | | | | |
| | | ავტოგრეიდერი საშუალო ტიპის 108 ცხ.ძ | მ/სთ | 2.69 | 79.74 | | | | | | | |
| | | კირქვის ღორღი 0-70მმ | მ$^3$ | 50 | 1482.19 | | | | | | | |
| | | კირქვის ღორღის ტრანსპორტირება 15 კმ-ზე და განაწილება გზის დაზიანებულ ადგილებზე | ტ | 1.6 | 2371.50 | | | | | | | |
| | | ჯამი | | | | | | | | | | |
| | | ზედნადები ხარჯები | | | | | | | | | | |
| | | ჯამი | | | | | | | | | | |
| | | გეგმიური დაგროვება | | | | | | | | | | |
| | | ჯამი | | | | | | | | | | |
| | | დ.ღ.გ 18% | | | | | | | | | | |
| | | ჯამი | | | | | | | | | | |

ორგანიზაციის დასახელება: ________________________________________

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი/გვარი: ________________________

ხელმოწერა: ________________________

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის რეაბილიტაციის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

მოგრეიდერება-მოშანდაკება

| # | ნორმატივების ნომერი და შიფრი | სამუშაოების დასახელება | საზომი ერთეული | რაოდენობა | | ღირებულება (ლარი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ნორმატივით ერთეული | საპროექტო მონაცემი | ხელფასი | | მასალები | | ტრანსპორტი | | ჯამი |
| | | | | | | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | ერთეული | სულ | |
| *1* | *2* | *3* | *4* | *5* | *6* | *7* | *8* | *9* | *10* | *11* | *12* | *13* |
| 1 | | არსბული გზის საფარის მოგრეიდერება-მოშანდაგება | 1000მ$^2$ | | **139.0** | | | | | | | |
| | | შრომის დანახარჯი | კაც/სთ | **11.5** | **1598.5** | | | | | | | |
| | | ავტოგრეიდერი საშუალო ტიპის 108 ცხ.ძ | მ/სთ | 2.65 | 368.35 | | | | | | | |
| | | ჯამი | | | | | | | | | | |
| | | **ზედნადები ხარჯები** | | | | | | | | | | |
| | | ჯამო | | | | | | | | | | |
| | | გეგმიური დაგროვება | | | | | | | | | | |
| | | ჯამი | | | | | | | | | | |
| | | **დ.ღ.გ 18%** | | | | | | | | | | |
| | | ჯამი | | | | | | | | | | |

ორგანიზაციის დასახელება: ____________________

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი/გვარი: ____________________

ხელმოწერა: ____________________

2018 წლის 09 ნოემბრის N5247 ბრძანებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი

# ოქმი N1

ქ. ზუგდიდი

09.11.2018 წელი

სხდომის დაწყების დრო: 17:00 საათი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი მაიზერ ნანავა.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები - გიორგი შენგელია, გიგა ფარულავა, რუსლან კილასონია, ლაშა ჯაიანი, ზვიად ღურწკაია, თენგიზ შანავა, ნუკრი მარგველანი, დავით ხუნჯუა.

**მოწვეული სტუმრები:**

შ.პ.ს. ,,ზუგდიდის საგზაო სამმართველო" - სოსო საჯაია; შ.პ.ს. თავადი-I - ელგუჯა გურიელი; შ.პ.ს. გილანი XXI - ავთანდილ წირღვავა; შ.პ.ს. ევრომშენი 999 - დიმა ჯღამაია; შ.პ.ს. ხანდა - დავით კვირკვია.

სხდომის მდივანი: მონიკა ჩიქობავა.

## დღის წესრიგი:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების საკითხის განხილვა.

**მომხსენებელი:** სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი მაიზერ ნანავა.

მომხსენებელმა სამუშაო ჯგუფის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი და მიმართა წინადადებით მისი დამტკიცების შესახებ.

**მიიღეს გადაწყვეტილება:** წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა მაიზერ ნანავამ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებს აცნობა, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი მიმწოდებლების შერჩევა. მოცემული საკითხი საჭიროებს არსებით განხილვას.

**აზრი გამოთქვეს:**

რუსლან კილასონიამ აღნიშნა, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სამსახურის მომართვების შესაბამისად გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე სამუშაოების განხორცილების თაობაზე და განმარტა, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხა გამოიყო საქართველო მთავრობის 24 ოქტომბრის N1951 განკარგულებით. ამ დროისთვის დაზიანებული გზების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულია. ამასთან ახლოვდება ზამთრის პერიოდი, სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შესრულდეს უმოკლეს ვადებში.

გიგა ფარულავამ აღნიშნა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად წარმოდგენილი ორგანიზაციებიდან დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ უნდა მოხდეს მიმწოდებლის შერჩევა. დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ მიმწოდებლის შერჩევა/შეფასება მოხდება მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

პრეტენდენტებს განემარტათ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ და გადაეცათ მათ მიერ განსაფასებელი ხარჯთაღრიცხვები.

ლაშა ჯაიანმა, ზვიად ღურწკაიამ, თენგიზ შანავამ, ნუკრი მარგველანმა, დავით ხუნჯუამ აღნიშნეს, რომ სტიქიით გამოწვეული ზიანი (დაზიანებული გზები) უპირველესყოვლისა აისახება საზოგადოებრივ ინტერესებზე შესაბამისად სამუშაოები უნდა განხორციელდეს უმოკლეს ვადებში.

**ღია კენჭისყრაზე:**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად მიმწოდებლების შერჩევა/შეფასების ფორმას მხარი დაუჭირა დროებითი სამუშაო ჯგუფის ყველა წევრმა.

**მიიღეს გადაწყვეტილება:** დროებითი სამუშაო ჯგუფის ყველა წევრმა სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად მიმწოდებლების შერჩევის ფორმას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი განხილულ იქნა**

**სხდომა გამოცხადდა დახურულად 18:00 საათზე.**

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: /მ.ნანავა/

სამუშაო ჯგუფის წევრები: / გ.შენგელია/ /გ.ფარულავა/

/რ.კილასონია/ /ლ.ჯაიანი/

/ზ.ღურწკაია/ /თ.შანავა/

/ნ.მარგველანი/ /დ.ხუნჯუა/

სხდომის მდივანი: მონიკა ჩიქობავა

*ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ*

*ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი*

*12 ნოემბერი, 2018 წელი*
*ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)*

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები, ვადასტურებთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესყიდვის პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტების შ.პ.ს. ,,ზუგდიდის საგზაო სამმართველო", შ.პ.ს. თავადი-I, შ.პ.ს. გილანი XXI, შ.პ.ს. ევრომშენი 999, შ.პ.ს. ხანდა-ს მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

*დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები:*

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: /მ.ნანავა/

სამუშაო ჯგუფის წევრები:

/გ.შენგელია/ /გ.ფარულავა/

/რ.კილასონია/ /ლ.ჯაიანი/

/ზ.ღურწკაია/ /თ.შანავა/

/ნ.მარგველანი/ /დ.ხუნჯუა/

2018 წლის 09 ნოემბრის N5247 ბრძანებით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი

ო ქ მ ი N2

ქ. ზუგდიდი

12 ნოემბერი, 2018 წელი

სხდომის დაწყების დრო: 17:00 საათი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი მაიზერ ნანავა.

სხდომას ესწრებოდნენ:

დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები - გიორგი შენგელია, გიგა ფარულავა, რუსლან კილასონია, ლაშა ჯაიანი, ზვიად ღურწკაია, თენგიზ შანავა, ნუკრი მარგველანი, დავით ხუნჯუა.

სხდომის მდივანი: მონიკა ჩიქობავა.

დღის წესრიგი:

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად წარმოდგენილი ორგანიზაციებიდან მიმწოდებლის შერჩევა/შეფასება მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

**მომხსენებელი:** სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი მაიზერ ნანავა.

მომხსენებელმა სამუშაო ჯგუფის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი და მიმართა წინადადებით მისი დამტკიცების შესახებ.

**მიიღეს გადაწყვეტილება:** წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა მაიზერ ნანავამ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრებს აცნობა, რომ წარმოდგენილი ორგანიზაციებიდან მიმწოდებლის შერჩევა/შეფასება მათ მიერ

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად უნდა განხორციელდეს და მოცემული საკითხი საჭიროებს არსებით განხილვას.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ იქნა წინადადებები სამუშაოების შესრულების თაობაზე.

| N | პრეტენდენტი | მოგრეიდერება-მოშანდაკება | კირქვის ღორღით 0-70 (მოხრეშვა) | ქვიშახრეშოვანი ღორღით 0-40 (მოხრეშვა) |
|---|---|---|---|---|
| 1 | შ.პ.ს. ,,ზუგდიდის საგზაო სამმართველო" | 30 000 | 60 000 | 60 000 |
| 2 | შ.პ.ს. თავადი-I | 26 354,24 | 60 000 | 57 727,65 |
| 3 | შ.პ.ს. გილანი XXI | 29 940 | 59 753,39 | 59 829 |
| 4 | შ.პ.ს. ევრომშენი 999 | 29 957 | 59 943 | 59 992 |
| 5 | შ.პ.ს. ხანდა | 29 999,19 | 59 999,12 | 59 999,75 |

**სხდომის მსვლელობა:** სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვები.

აზრი გამოთქვეს:

რუსლან კილასონიამ, გიგა ფარულავამ, ლაშა ჯაიანმა, თენგიზ შანავამ, ნუკრი მარგველანმა, დავით ხუნჯუამ აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი ორგანიზაციებიდან, ხარჯთაღრიცხვების გათვალისწინებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად მისაღებად ჩაითვალოს ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტები: 1) შ.პ.ს. თავადი-I - გზის საფარის რეაბილიტაცია მოგრეიდერება-მოშანდაკება (ფართობი - 139 000 მ²) 26 354,24 (ოცდაექვსი ათას სამას ორმოცდათოთხმეტი ლარი და 24 თეთრი) ლარის ოდენობითა და გზის საფარის რეაბილიტაცია 0-40 ქვიშახრეშოვანი ღორღით (მოხრეშვა) 57 727,65 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ოცდაშვიდი ლარი და 65 თეთრი) ლარის ოდენობით. 2) შ.პ.ს. გილანი XXI - გზის საფარის რეაბილიტაცია 0-70 კირქვის ღორღით (მოხრეშვა) 59 753,39 (ორმოცდაცხრამეტი ათას შვიდას ორმოცდაცამეტი და 39 თეთრი) ლარის ოდენობით.

ღია კენჭისყრაზე:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად შერჩეულ იქნეს შ.პ.ს. თავადი-I-ისა და შ.პ.ს. გილანი XXI -ის მიერ წარმოდგენილი წინადადებები რასაც მხარი დაუჭირა დროებითი სამუშაო ჯგუფის ყველა წევრმა.

**მიიღეს გადაწყეტილება:** დროებითი სამუშაო ჯგუფის ყველა წევრმა სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად თავადი-I-ისა და შ.პ.ს. გილანი XXI-ის მიერ წარმოდგენილი წინადადებების შერჩევას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი განხილულ იქნა

სხდომა გამოცხადდა დახურულად 18:00 საათზე.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: /მ.ნანავა/

სამუშაო ჯგუფის წევრები: /გ.შენგელია/ /გ.ფარულავა/

/რ.კილასონია/ /ლ.ჯაიანი/

/ზ.ღურწკაია/ /თ.შანავა/

/ნ.მარგველანი/ /დ.ხუნჯუა/

სხდომის მდივანი: მონიკა ჩიქობავა